ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41261194**
თარიღი:**29/04/2026**

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებული კვების ცენტრის'' 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებული კვების ცენტრის'' საქმიანობა 2025 წლის ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებული კვების ცენტრს".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

ჯუმბერი ტყებუჩავა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი

2025 წელს გაწეული საქმიანობის

ანგარიში

1.ცენტრის მართვა: დაგეგმვა, ორგანიზება, მიზანი, კონტროლი.

2.2025 წლის საფინანსო მაჩვენებლები.

3.ორგანიზაციული სტრუქტურა.

4.SWOT - ანალიზი.

5.ფოტომასალები.

1. ცენტრის მართვის ფუნქცია: დაგეგმვა, ორგანიზება, მიზანი, კონტროლი.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ძირითადი საქმიანობის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეებს შეუმსუბუქოს შეჭირვებული მდგომარეობა, შეუქმნას სასიამოვნო და მზრუნველი გარემო, უზრუნველყოს უფასო კვებით.

საქმიანობის განხორციელებისათვის 100%-იან სუბსიდირებას უზრუნველყოფს სენაკის მუნიციპალიტეტი. სუბსიდიური დაფინანსებით ხორციელდება საკვები პროდუქტების შეძენა, საოფისე, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა მომსახურეობების ხარჯების დაფარვა. ცენტრი ამზადებს და წარადგენს ანგარიშებს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში.

საანგარიშო პერიოდში საქმიანობა წარიმართება კვების ცენტრის ადმინისტრაციის გეგმის შესაბამისად.

კვების პროდუქტების შეძენა ხორციელდება ელ. ტენდერების მეშვეობით. 2025 წელს გამოცხადებულ იქნა 8 ელ. ტენდერი. სხვა საქონელი და მომსახურეობების შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ნებართვის შესაბამისად საბაზრო ფასების კვლევის შედეგების საფუძველზე.

სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში 2025 წელს დასაქმებული იყო 8 ბენეფიციარი ვაკანსიაზე კურიერი/მიმტანი, რომლებიც ახორციელებენ მზა საკვების შინ მიტანას შესაბამის ბენეფიციარებთან (ავადმყოფები, ხანდაზმულები, შშმ პირები).

ერთჯერად კვებაზე გათვალისწინებული კალორაჟის მინიმალური ზღვარი შეადგენს 1399 კ.კალორიას, ხოლო მაქსიმალური - 1687 კ.კალ.

ერთი ბენეფიციარის ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის ღირებულება შეადგენს 2,85 ლარს. შედარებისათვის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში 2024 წლის მონაცემებით ერთი ბენეფიციარის კვება ჯდება: ბორჯომი - 2,94 ლარი; შუახევი - 3,10 ლარი; ქუთაისი - 2,80 ლარი, ახალციხე - 2,85; წალენჯიხა - 2,70 ლარი; სამტრედია - 3,00 ლარი; თელავი - 3,30 ლარი და ა.შ.

2025 წელს ჩანაცვლდა 22 ბენეფიციარი.

ძირათად სიაში ჩანაცვლდა 17 ბენეფიციარი:

1. გარდაცვალების გამო - 14 ბენეფიციარი;
2. პირადი განცხადების გამო - 0 ბენეფიციარი;
3. სისტემატიურად გამოუცხადებლობის გამო - 2 ბენეფიციარი;
4. საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასვლასთან დაკავშირებით - 1 ბენეფიციარი;

დამატებით სიაში ჩანაცვლდა 5 ბენეფიციარი:

1. გარდაცვალების გამო - 0 ბენეფიციარი;
2. პირადი განცხადების გამო - 0 ბენეფიციარი;
3. საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასვლასთან დაკავშირებით - 0 ბენეფიციარი.
4. სისტემატიურად გამოუცხადებლობის გამო - 5 ბენეფიციარი;

ბენეფიციართა ჩანაცვლება ხდება ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში ბენეფიციართა მომართვის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

სისტემატიურად ხორციელდება ბენეფიციართა მონიტორინგი. 2017 წლის ნოემბრის თვეში შემოვიღეთ ანკეტის გამოკითხვის ფორმა, სადაც ბენეფიციარები აფიქსირებენ თავიანთ აზრს თითოეული კერძის ხარისხზე, მომსახურებასა და სისუფთავეზე. 2025 წელს გამოიკითხა თითქმის ყველა ბენეფიციარი, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა ანკეტაში დასმულ შეკითხვებს. რეგულარულად ტარდება სადეზინფექციო და დერატიზაციის სამუშაოები.

დოკუმენტბრუნვა: ბრძანება - 174, სხვადასხვა სახის განცხადება - 47, გასული კორესპონდენცია - 50; შემოსული წერილები - 52; მივლინება - 1, შესასყიდი საქონლის (მომსახურების) ხელშეკრულება - 45, მიღება-ჩაბარების აქტი - 729.

2. 2025 წლის საფინანსო მაჩვენებლები

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრს 2025 წელს სუბსიდიური დაფინანსებით მიღებული აქვს 445453 ლარი.

შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 152261,00 ლარი, მივლინებაზე - 30 ლარი, კვების ხარჯი - 231925,00 ლარი .

საკანცელარიო - 667,00 ლარი; კავშირგაბმულობა(ინტერნეტი) ხარჯი - 2341,00 ლარი; ელ. ენერგიის - 1619,00 ლარი; წყლის ხარჯი - 693,00 ლარი; ბუნებრივი აირი - 5066,00 ლარი; ფინანსთა ასოციაციის საწევრო გადასახადი - 4000,00 ლარი; სანიტ-ჰიგიენური და სამეურნეო საქონელი - 3413,00 ლარი;

ელ.პაკეტის მომსახურება - 584 ლარი; სადეზინფექციო და დერატიზაციის სამუშაოებისთვის გაიხარჯა - 550 ლარი; წყლის სინჯის ანალიზის ხარჯი - 150,00 ლარი; შტატგარეშე - 20924,00 ლარი; ბიულეტენის ხარჯი -888 ლარი; საკვების სახლში მიტანის სერვისზე - 8400,00 ლარი; ნუტრიციოლოგის მომსახურების ხარჯი- 890 ლარი; საჯარო რეესტრის ამონაწერის თანხა - 39,00 ლარი; სატენდერო მომსახურებაზე გაიხარჯა - 400,00 ლარი; მცირე ფასიანი ინვენტარი - 1980 ლარი; კონდენციონერის შეძენის ხარჯი- 1260 ლარი; მაცივრის შეძენის ხარჯი-1250 ლარი; შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯი- 6123 ლარი.

ელ. ტენდერების რაოდენობა



ერთი ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფის ღირებულება



3.ორგანიზაციული სტრუქტურა

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი მდებარეობს: ქ.სენაკი , ახალგაზრდობის ხეივანი N 7. ცენტრს გააჩნია ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე განთავსებულია სასადილო და სამზარეულო, მეორეზე - ადმინისტრაციის ოფისი.

ცენტრში დასაქმებულია 12 თანამშრომელი. უფასო მზა საკვებს ღებულობს ძირითადი სიის 210 და დამატებითი სიის 25 ბენეფიციარი.

კვების რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისათვის ვახორციელებდით საკვების სახლში მიტანის სერვისს (28 ბენეფიციარი).

კვების ცენტრის ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია წესდებითა და შინაგანაწესით

კვების ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა ასეთია:



4.SWOT - ანალიზი

კვების ცენტრის გეგმის გამოკვეთის, კონკრეტული მიზნების ჩამოყალიბების და ახალი იდეების გენერირების ინსტრუმენტია ანალიზი, რომლისთვისაც გამოვიყენეთ SWOT - ანალიზის მეთოდი (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება).

ძლიერი მხარეები: . მრავალწლიანი გამოცდილება; . გეოგრაფიული მდებარეობა; . თანამშრომლობა მსგავსი ტიპის დაწესებულებებთან;	სუსტი მხარეები: . თანამშრომელთა დაბალი ანაზღაურება;
შესაძლებლობები: . მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერა; . ცენტრის სერვისის განვრცობა ავადმყოფებზე, ხანდაზმულებზე, შშმ პირებზე;	საფრთხეები: . ფასების ცვალებადობა; . ფორსმაჟორული პირობები;

5.ფოტომასალები







ა(ა))იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი"
(კოდი 06 02 01)

#	დასახელება	2025 წელი			
		საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო	ერთი თვის ხელფასი	წლიური ხელფასის ფონდი
	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი" (კოდი 06 02 01)	10		12228	146736
1	დირექტორი	1	2390	2390	28680
2	მთ. ბუღალტერი	1	1457	1457	17484
3	ბუღალტერი	1	1256	1256	15072
4	სპეციალისტი	2	1190	2380	28560
5	სპეციალისტი	1	1055	1055	12660
6	მზარეული	2	990	1980	23760
7	დამლაგებელი	2	855	1710	20520
	შტატგარეშე				
	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი" (კოდი 06 02 01)(შტატგარეშე)	2		1980	23760
1	სპეციალისტი	1	1055	1055	12660
2	სპეციალისტი	1	925	925	11100

კვების ცენტრის დირექტორი ლ.ტყემუჩავა

მთ.ბუღალტერი ნ.ტორჩინავა

ვამტკიცებ: ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა
კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმები ბენეფიციარებზე

ორშაბათი 2025 წ

1 ქათმის ბულიონი ------ 450 გრ

2 ბრინჯის ფაფა ---------- 250 გრ

3 კაკაო ---------- 200 მლ

4 ფუნთუშა----------(1ც) 100 გრ

5 პური--------- ------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1687,85

ვამტკიცებ: ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

სამშაბათი (1) 2025 წ

1 მაკარონის სუპი ---------- 450 გრ

2 სოსისი რძიანი
წიწიბურის გარნირი ----------250გრ

3 კომპოტი ვაშლი ---------- 200 გრ

4 პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1489,94

ვამტკიცებ: ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

სამშაბათი (2) 2025 წ

1 მაკარონის სუპი ---------- 450 გრ

2 გუფთა ---------- 250 გრ

3 ვაშლის კომპოტი ----------200მლ

4 პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1291,41

ვამტკიცებ: ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

ოთხშაბათი (1) 2025 წ

1. ბორში ბოსტნეულის ---------- 450გრ

2. ლობიო მოხრაკული ----------250გრ

3. კისელი ----------200 გრ

4. პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1461,84

ვამტკიცებ: ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

ოთხშაბათი (2) **2025 წ**

1. ბორში ბოსტნეულის ---------- 450გრ

2. ლობიო მოლესილი ----------250გრ

3. კისელი ---------- 200 მლ

4. პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1305,34

ვამტკიცებ:

ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების
ცენტრის მენიუ
გასაცემი ულუფის ნორმები ბენეფიციარებზე

ხუთშაბათი 2025 წ

1 ქათმის ბულიონი ---------- 450 გრ

2 მაკარონი ფაფა---------- 250 გრ

3 კომპოტი ვაშლის ---------- 200 მლ

4 პური ---------- ---------- (1ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1338,57

ვამტკიცებ: ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

პარასკევი (1) 2025 წ

1 ლობიოს სუპი ---------- 450 გრ

2 ფლავი ბრინჯის ---------- 250 გრ

3 კისელი ---------- 200 მლ

4 პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1627,77

ვამტკიცებ:

ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

პარასკევი (2) 2025 წ

1. ლობიოს სუპი ---------- 450 გრ
2. აჯაფსანდალი ---------- 250 გრ
3. კისელი ---------- 200 გრ
4. პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1204,31

ვამტკიცებ:

ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

შაბათი (2) 2025 წ

1 საქონლ. ხორცის ბულიონი ------- 450 გრ

2 მაკარონი ყველით ---------- 250 გრ

3 კომპოტი ვაშლის ---------- 200 მლ

4 პური ---------- (1 ც) 250 გრ

სულ კ/კალორია 1283,65

ვამტკიცებ:

ლ. ტყებუჩავა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მენიუ

გასაცემი ულუფის ნორმა ერთ ბენეფიციარზე

შაბათი 2025 წ

1 საქონლ. ხორცის ბულიონი ------- 450 გრ

2 მაკარონი ყველით ---------- 250 გრ

3 ვაშლის კომპოტი ---------- 200 მლ

4 პური ---------- (2 ც) 500 გრ

5 კვერცხი ---------- 2 ცალი

6 ერთჯერადი სუპი ----------1 ცალი

სულ კ/კალორია 1385,86

2025 წლის 4 ივლისი, პარასკევი

N	სახელი, გვარი (მითითება სავალდებულო არარის)	მენიუ				მომსახ	სისუფ	ხელმოწერა
		ლობიოს სუპი	აჯაფსანდალი	ატმის კომპოტი	პური			
1	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
6	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
7		[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
8								
9								

2025 წლის 10 სექტემბერი, ოთხშაბათი

N	სახელი, გვარი (მითითება სავალდებულო არარის)	მენიუ				მომსახ	სისუფთ	ხელმოწერა
		ბორშჩი ბოსტნეულის	ლობიო მოლესილი	კისელი	პური			
1	ვ. [illegible]	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	[illegible]
2	ნ. [illegible]	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	ნ. [illegible]
3	ქ. [illegible]	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	ქ. [illegible]
4	ქ. [illegible]	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	ქ. [illegible]
5	ხ. [illegible]	კარგი	კარგი	კარგი	კარგი	[illegible]	[illegible]	[illegible]
6	ნ. [illegible]	ნ. [illegible]	ნ. [illegible]	ნ. [illegible]	ნ. [illegible]	ნ. [illegible]	ნ. [illegible]	ნ. [illegible]
7	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]